ქალაქის რეპრეზენტაცია ორჰან ფამუქის რომანში „სტამბოლი-მოგონებები და ქალაქი“

მაკა სუსარეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail:maka.susareishvili@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.37

ორჰან ფამუქის 2003 წელს გამოქვეყნებულ რომანში — „სტამბოლი: მოგონებები და ქალაქი“ — ურბანული გარემო სცილდება ფიზიკურ-გეოგრაფიულ საზღვრებს და გვევლინება მრავალშრიან, ცოცხალ ორგანიზმად, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს ისტორიულ რეალობას, სოციალურ ყოფასა და ინდივი-დუალურ ბედისწერას. ნაწარმოები ავტობიოგრაფიული მეხსიერებისა და ქალაქის ბიოგრაფიის გადაკვეთაზე ფორმირებული ჰიბრიდული ნარატივია, სადაც პირადი გამოცდილება და კოლექტიური ისტორია ორგანულ მთლიანობად ერწყმის ერთმანეთს.

რომანი მოიცავს ავტორის ბავშვობიდან 22 წლამდე პერიოდს და ავითარებს ორმაგ ნარატივს: ერთი მხრივ, ეს არის ინტიმური ავტობიოგრაფია, რომელიც აღწერს ფამუქის მოგონებებს, ფიქრებსა და გარემოს, ხოლო მეორე მხრივ - სტამბოლის ბიოგრაფია, რომელიც დოკუმენტირებს ქალაქის ისტორიულ მოვლენებს, ადამიანებს, ქუჩებსა და ცხოვრების რიტმს. ეს ორმაგი თხრობა, რომელიც ფამუქის დაბადების დღიდან იწყება და სტამბოლის ისტორიის პარალელურად ვითარდება, გამყარებულია საგაზეთო სტატიებით, პლაკატებითა და შავ-თეთრი ფოტოების ვრცელი კოლექციით, რაც ტექსტს მულტიმედიურ და პოლიფონიურ ხასიათს ანიჭებს. რომანის ნარატიული სტრუქტურა ავტორის დაბადების ადგილით იწყება და სიმბოლურად სტამბოლის ურბანულ სივრცით იკვრება; აღნიშნული ციკლურობა ხაზს უსვამს ინდივიდისა და ქალაქის განუყოფელ ონტოლოგიურ ურთიერთდამოკიდებულებას. ორჰან ფამუქი საკუთარი ბავშვობის რეპრეზენტაციის პარალელურად ახდენს სტამბოლის რეცეფ-ციასა და ტექსტუალიზაციას პირადი პერსპექტივიდან, რაც გულისხმობს თხრობის განვითარებას „შიგნიდან გარეთ“ პრინციპით. ნარატივი თანმიმდევრულად ფართოვდება: უახლოესი სოციალური წრიდან (დედა, მამა, უფროსი ძმა) და დახურული პირადი სივრციდან (სახლი) გადადის საჯარო ურბანულ გარემოში (ქუჩა, სამეზობლო), რაც ლოკალურად ნიშანთაშის უბნით არის მარკირებული.

პირადი სივრციდან ურბანულ ლანდშაფტამდე გაშლილი ეს თხრობა ავტორს საშუალებას აძლევს ასახოს იდენტობის ფორმირების კომპლექსური გზა, სადაც ინდივიდუალური და ურბანული სფეროები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, მკითხველი პირველად ეცნობა იმ „მე"-ს, რომელიც აღწერს სტამბოლს, მაგრამ სინამდვილეში სტამბოლისა და „მე"-ს ხატი ერთიანად ყალიბდება. „სტამბოლის ბედისწერა ჩემი ბედისწერაა. მე ამ ქალაქს მივეჯაჭვე, რადგან მან ჩამომაყალიბა ისეთად, როგორიც ვარ“ (გვ20).

კოლექტიური მეხსიერებისა და სივრცის ურთიერთკავშირი ფამუქის თხრობის ერთ-ერთი ფუნდამენტური საყრდენია. ავტორისეული ნარატივი რთულ და მრავალშრიან ხასიათს იძენს: პიროვნული მეხსიერება აქ მხოლოდ სუბიექტურად არ ვითარდება; ის სოციალური ინტერაქციის შედეგად ფორმირებული ფენომენია, რომლის ფარგლებშიც ინდივიდები საკუთარ მოგონებებს სოციალურ კონტექსტში აღიქვამენ და აყალიბებენ.

ორჰან ფამუქი აჩვენებს, რომ პირადი მეხსიერება მხოლოდ თანამედროვე სოციალური გარემოს გავლენით კი არ იქმნება, არამედ მასზე ისტორიული, კულტურული და ლიტერატურიული წარსულის შრეებიც მოქმედებს. ტექსტის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს წარსულის რეკონსტრუქცია სხვადა-სხვა დოკუმენტური წყაროს, მოგზაურთა ჩანაწერებისა და მრავალმხრივი პერსპექ-ტივების საფუძველზე. ავტორისეული სტამბოლის ხატი იქმნება სხვისი ხედვის რეცეფციითაც. სხვადასხვა ტექსტისა და სუბიექტური პერსპექტივების ეს სინთეზი აყალიბებს მეხსიერების მრავალფენოვან სტრუქტურას — პალიმფსესტს, სადაც განსხვავებული ხმები, ხედვები და ისტორიული ფენები ერთმანეთს ფარავს, ავსებს და აღრმავებს მეხსიერებას, როგორც რთულ ფსიქოლოგიურ და კულტურულ მოვლენას, გარესამყაროში ასახვისა და მატერიალური სიმყარის მოსაპოვებლად აუცილებლად სჭირდება შესაბამისი სივრცე. სწორედ სივრცეა ის საყრდენი, რომელზეც მოგონებები ფიქსირდება და დროთა განმავლობაში სახეს იცვლის. ფამუქის რომანში სივრცის კონცეფცია მთლიანად სტამბოლს უკავშირდება — ქალაქს, რომელიც წარმოჩენილია არა როგორც უსულო ნაგებობების ერთობლიობა, არამედ როგორც სახლის, ქუჩისა და სამეზობლოს ურთიერთკავშირით შექმნილი რთული, ცოცხალი ქსოვილი. ენა, სივრცე და დრო მეხსიერების იმ სამ ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენენ, რომელთა მეშვეობითაც წარსული დღევანდელობას უკავშირდება. ეს ელემენტები არ არის სტატიკური; ისინი იმ სპეციფიკური პროცესების შედეგად ფორმირდებიან, რომელთა საშუალებითაც სოციალური ჯგუფები თუ ინდივიდები ახდენენ გარემოს ათვისებასა და საკუთარი თავის რეპრეზენტაციას. ფამუქი გვაჩვენებს, რომ ქალაქის ყოველი კუთხე, ყოველი ძველი შენობა

თუ ქუჩის კვეთა მეხსიერების ერთგვარი საცავია, სადაც პირადი ისტორიები კოლექტიურ გამოცდილებას ერწყმის. რომანის ცენტრალური გარემო სტამბოლის ქუჩებია, თუმცა ზოგიერთი უბანი მეხსიერების განსაკუთრებულ სივრცედ გარდაიქმნება იმ უნიკალური მოვლენებისა თუ ემოციური მუხტის გამო, რაც მათ უკავშირდება. ამ მხრივ, გამორჩეულია სასტუმრო „ჰილტონი“ და ემირგანის ბორცვი — ორი სრულიად განსხვავებული წერტილი, რომლებიც ქალაქის მეხსიერების სხვადასხვა ასპექტს წარმოაჩენენ.

სასტუმრო „ჰილტონი“ იმ ეპოქის მდიდრული და მოდერნისტული ცხოვრების სიმბოლოდ აღიქმებოდა. იგი ბურჟუაზიული კლასისთვის არა მხოლოდ დასვენების ადგილს, არამედ სოციალური სტატუსისა და მატერიალური წარმატების თვალსაჩინო განსახიერებას წარმოადგენდა. ეს იყო სივრცე, სადაც სტამბოლის ელიტა საკუთარ იდენტობას დასავლურ სტანდარტებთან აიგივებდა. ამის საპირისპიროდ, ემირგანის ბორცვი კოლექტიური მეხსიერების სრულიად სხვაგვარ, დრამატულ გამოცდილებას ინახავს. 1950-იან და 1960-იან წლებში ეს ადგილი იქცა სივრცედ, სადაც მოსახლეობა ბოსფორის ხანძრების სანახავად იკრიბებოდა. ავტორი შთამბეჭდავად აღწერს, თუ როგორ მიემართებოდა ხალხი ჯგუფურად ზღვისპირა რაიონებისკენ, რათა თვალი ედევნებინა ცეცხლის ალში გახვეული ძველი ხის სასახლეებისათვის. ემირგანის ბორცვზე მანქანებში მსხდომი ადამიანები, მზესუმზირის მარცვლებითა და მოლოდინით სავსენი, ამ ტრაგიკულ მოვლენას კინემატოგრაფიულ სანახაობად აღიქვამდნენ. ამგვარად, ქალაქის საერთო ტრაგედია კოლექტიურ დრამად — ერთგვარ „შოუდ“ — იქცეოდა, სადაც პირადი განცდა ქალაქის საერთო ბედისწერასთან იყო გადაჯაჭვული: „როდესაც ბოსფორზე რომელიმე ძველი იალი იწვოდა, მთელი ქალაქი იქითკენ მიემართებოდა. ჩვენთვის ეს არ იყო მხოლოდ ხანძარი; ეს იყო იმპერიის ნარჩენების, ჩვენი დიდებული წარსულის ფერფლად ქცევა. ხალხი ნაპირზე იდგა და ჩუმად, თითქმის მოკრძალებით უყურებდა, როგორ ქრებოდა ისტორია“ (გვ. 215).

წიგნის სტრუქტურულად უმნიშვნელოვანესი ელემენტი დროის რთული, არაწრფივი აღქმაა. აქ დრო წარმოდგენილია წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთგადაჯაჭვულ ციკლად, სადაც ახალგაზრდა ორჰანის ცხოვრება ზრდასრული მწერლის გადმოსახედიდან, ქალაქის წარსულთან ერთად ვითარდება. სტამბოლის ტრანსფორმაცია ფამუქის ცხოვრების პარალელურად არის აღწერილი, რითაც ქალაქი ერთგვარ დროით მრავალშრიანობად — პალიმფსესტად გვევლინება. მასში სხვადასხვა ისტორიული ფენა ერთმანეთს ფარავს და ერთიან, კომპლექსურ დროით სტრუქტურას ქმნის.

სტამბოლი, თავისი ისტორიული გარდასახვებითა და კულტურული მეხსიერებით, ორგანულად არის დაკავშირებული ორჰანის პირად ბიოგრაფიასთან. რომანში

გამოყენებული ფლეშბექების საშუალებით ხდება სხვადასხვა ეპოქას დაახლოება, რომლებიც მუდმივად ურთიერთქმედებენ და განსაზღვრავენ ერთმანეთს. ამგვარი თხრობით ავტორი გვაჩვენებს, რომ აწმყო არ არსებობს წარსულის შრეების გარეშე და ქალაქის ყოველი წამი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გაგრძელებაა

ორჰან ფამუქის რომანში ცენტრალურ ადგილს იკავებს „ჰუზუნი“(hüzün) — მელანქოლიის ის გამორჩეული განცდა, რომელიც სტამბოლის არსს განსაზღვრავს. ამ ნაწარმოებში ქალაქი და მელანქოლია განუყოფელი მთლიანობაა: ორჰან ფამუქი სტამბოლს აღიქვამს, როგორც დაკარგული სიდიადის სივრცეს, რომელიც ერთდროულად ატარებს წარსულის ნოსტალგიასა და დასავლეთისკენ მიმართული თანამედროვეობის ნიშნებს. ავტორის მიდგომა ამ საკითხისადმი ამბივალენტური და ღრმაა: ერთი მხრივ, ის უარყოფს აღმოსავლეთის შესახებ გარედან თავსმოხვეულ სტერეოტიპებს, თუმცა, მეორე მხრივ, თავადვე ქმნის სტამბოლის იმგვარ მელანქოლიურ ხატს, რომელიც ქალაქის აღმოსავლურ განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს. ეს პარადოქსი ზუსტად ასახავს სტამბოლის რთულ იდენტობას: იგი ერთდროულად არის აღმოსავლურიც და დასავლურიც, ტრადიციულიცა და თანამედროვეც, იმპერიული წარსულის მემკვიდრეცა და რესპუბლიკური აწმყოს მატარებელიც. სწორედ ეს დაძაბულობა — წარსულსა და აწმყოს, დანაკარგსა და იმედს შორის — ქმნის სტამბოლის უნიკალურ სახეს ფამუქის შემოქმედებაში. მელანქოლიის ამ განცდას კიდევ უფრო ამყარებს და თვალსაჩინოს ხდის შავ-თეთრი ესთეტიკა, რომელიც, როგორც უწყვეტი ძაფი, გასდევს მთელ რომანს.

„მე მიყვარს სტამბოლის შავ-თეთრი ნისლი... შავ-თეთრ სტამბოლში წარსული უფრო ახლოსაა და სიმართლე — უფრო მკაფიო“ (30გვ).

შავ-თეთრი გამოსახულებები, შერწყმული იმ მოვლენებთან, რომლებიც ავტორმა ბავშვობაში იხილა ან წაიკითხა, ღრმად არის ჩაბეჭდილი ფამუქის მეხსიერებაში და მისი ურბანული მოგონებების ვიზუალურ საყრდენს ქმნის. ამ სურათებს შორის უმთავრესია ხის სასახლეები, რომლებიც დასავლური ყაიდის მოდერნიზაციისკენ სწრაფვისა და ამ პროცესის ამბივალენტურობის არქიტექტურულ გამოხატულებას წარმოადგენენ. „ჩვენს სახლებში დასავლური ნივთები იდგა არა იმიტომ, რომ მათ ვიყენებდით, არამედ იმიტომ, რომ ისინი ჩვენი თანამედროვეობის მტკიცებულება იყო... ფანჯრიდან კი სტამბოლის ნამდვილ, ნაცრისფერ სევდას ვუყურებდით“ (35გვ).

ახლად შექმნილი რესპუბლიკის ხანაში არსებობდა კულტურული აღრევა და საზოგადოებრივი დაბნეულობა, როდესაც რთული გასარჩევი იყო, რა იყო ნამდვილად დასავლური და რა — არა; სად მთავრდებოდა ავთენტურობა და სად იწყებოდა ბრმა მიბაძვა. სწორედ ეს კულტურული გზააბნეულობა ამძაფრებდა ფამუქის მელანქოლიას.

სტამბოლის აღწერისას მწერალი ოსტატურად იყენებს ორმაგ პერსპექტივას — ადგილობრივთა და უცხოელ მოგზაურთა ხედვების სინთეზს, რაც ქალაქის მრავალხმიან, მოცულობით და სრულყოფილ ხატს აყალიბებს

ორჰან ფამუქის რომანი — „სტამბოლი: მოგონებები და ქალაქი“ — წარმოადგენს ფუნდამენტურ ნაშრომს, რომელიც 1950-1970-იანი წლების სტამბოლის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს აცოცხლებს: გაზეთების სათაურებიდან დაწყებული, ყოველდღიურობის უმცირეს დეტალებამდე. ამავდროულად, ავტორის პირადი მოგონებების მეშვეობით იქმნება ქალაქის უაღრესად ინტიმური პორტრეტი. მხატვრული ტექსტი საშუალებას გვაძლევს, ფამუქის ახალგაზრდო-ბიდან მომავლისკენ გავიხედოთ და, იმავდროულად, მასთან ერთად წარსულში დავბრუნდეთ. დროის ეს ორმაგი აღქმა ქმნის თხრობის რთულ და მრავალმხრივ სტრუქტურას.

წარსულსა და აწმყოს შორის არსებულ დაძაბულობას თვალსაჩინოს ხდის წიგნში გამოყენებული შავ-თეთრი ფოტოები. ამ კონტრასტული დროითი შრეების გადაკვეთის წერტილი თავად ქალაქია — მისი ქუჩებით, პეიზაჟებითა და მელანქოლიით. სტამბოლი აქ არა მხოლოდ პასიური ფონი, არამედ აქტიური მოქმედი პირია — პერსონაჟი, რომელიც თავად აყალიბებს მოვლენებს, გავლენას ახდენს ადამიანებზე და წარმართავს თხრობის განვითარებას. უცხოელი მოგზაურებისა და ადგილობრივი ავტორების ხედვათა შეჯერებით, ფამუქი ქმნის ქალაქის მოცულობით სახეს, სადაც ერთმანეთს ერწყმის გარედან დანახული, ეგზოტიკური და შიგნიდან განცდილი, ავთენტური პერსპექტივები. მელანქოლია, ქალაქის სივრცე და პირადი მოგონებები ქმნიან ციკლურ მთლიანობას, რომელიც სტამბოლის ყოველდღიურობას მის მეტაფიზიკურ სევდასთან — „ჰუზუნთან“ აკავშირებს.

ორჰან ფამუქის რომანი ინდივიდის, ისტორიისა და ურბანული გარემოს ურთიერთკავშირის სიღრმისეული კვლევაა. ქალაქის გავლენა განსაზღვრავს გმირების ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ ყოფას. სტამბოლის აღწერა მკითხველში ერთდროულად ბადებს დოკუმენტური სიზუსტისა და ღრმა ემოციური განცდის შთაბეჭდილებას. ეს ტექსტი გვიბიძგებს, ხელახლა გავიაზროთ სივრცის, მეხსიერებისა და იდენტობის კავშირი და გვახსენებს, რომ ქალაქები მხოლოდ შენობებისა და ქვების გროვა არ არის; ისინი ცოცხალი, დინამიური ორგანიზმებია, რომლებიც ინახავენ, შობენ და ავრცელებენ კაცობრიობის ისტორიას, კულტურასა და პირად გამოცდილებას.

საკვანძო სიტყვები: ორჰან ფამუქი, რომანი - სტამბული: მოგონებები და ქალაქი“, ქალაქის წარდგენა

ლიტერატურა:

- **ფამუქი, ორჰან.** (2021). *სტამბოლი: მოგონებები და ქალაქი.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- Ecevit, Yıldız. *Kurmaca Bir Dünyadan*. İstanbul: İletişim, 2013.
- Esen, Nüket. *Modern Türk Edebiyatı Üzerine Okumalar*.İstanbul: İletişim, 2010.
- Pamuk, Orhan. *Öteki Renkler*. İstanbul: Yapıkredi Yayınları, 2013.
- Pamuk, Orhan. *Şeylerin Masumiyeti*.İstanbul: İletişim, 2012.
- Kaya, Mümtaz. "Triangle Rememoratif: İstanbul- Le Jeune Pamuk-Artistes Français", *Humanitas*,3 (2014) :129.
- Konuk, Kader. " Istanbul on fire: End-of-Empire Melancholy in Orhan Pamuk's İstanbul", *The Germanic Review*,86 (2011): 249.

Maka Susareishvili

Akaki Tsereteli state University

e-mail:maka.susareishvili@atsu.edu.ge

https://doi.org/10.52340/lac.2026.11.37

Reprezentation of the city in Orhan Pamuk's novel "Istambul: Memories and the City"

Abstract

Orhan Pamuk's novel "Istambul: Memories and the City" is a profound synthesis of urban identity, collective memory and autobiographical narrative. The author explores the interrelationshipp of the individual, history and environment, where Istanbul appears not only as a place of action, but also as a living, multi-layered and historically contextualized character.

The urban environment of the city directly determines the psychological, social and cultural portraits of the characters. Orhan Pamuk's description evokes in the reader a simultaneously documentary and deeply emotional image of Istanbul.

The novel skillfully connects the historical, social and aerchitectural details of the city with the author's personal development – from childhood memories to the formation of the writer's identity.

The text presents the city as a dynamic organism that stores and creates human experience.

Keywords: Orhan Pamuk, novel "Istambul: Memories and the City", Reprezentation of the city